

# პროფესიული განვითარების დაფინანსების ვაუჩერების ადმინისტრირებისა და გამოყენების ინსტრუქციები საჯარო სკოლების დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის

---

## ზოგადი ინფორმაცია:

მასწავლებლის პროფესიული განვითარების ვაუჩერი ითვალისწინებს პროფესიული განვითარების აკრედიტებული ტრენინგ-პროგრამების დაფინანსებას. პირველ ეტაპზე დაფინანსდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები საბაზო და საშუალო სკოლის ქართულის, მათემატიკისა და უცხო ენების მასწავლებლებისათვის.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების აკრედიტებული პროგრამები ემსახურება მასწავლებლების პროფესიული უნარ-ჩვევებისა და საგნობრივი ცოდნის განვითარებას. მოცემული 4 კრედიტიდან, ორი კრედიტი განსაზღვრულია საგნობრივი პროგრამების ხოლო ორი კრედიტი პროფესიული უნარ-ჩვევების პროგრამების დაფინანსებისათვის. მასწავლებელი, პროფესიული საჭიროებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, შეარჩიოს ორივე სახის პროგრამა, სულ 4 კრედიტის ოდენობით, ან დაფინანსებული ოთხივე კრედიტი გამოიყენოს მხოლოდ საგნობრივი, ან მხოლოდ პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის.

ერთი ვაუჩერი მოიცავს 2 კრედიტს, ანუ მასწავლებლის სახელზე გაცემული ერთი ვაუჩერი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ შერჩეული ერთი პროგრამის გავლას.

ვაუჩერი, ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ, მასწავლებლის სასარგებლოდ გაიცემა 2009 წლის 1 ნოემბრამდე.

მასწავლებელმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოითხოვოს ვაუჩერი, თუ ტრენინგ-პროგრამის გავლას 2009 წლის განმავლობაში გეგმავს. 2009 წელს ვაუჩერის მიღებისა და მისი გამოუყენებლობის შემთხვევაში, მასწავლებელი ხელმეორედ არ დაფინანსდება მომდევნო წელს .

## ინსტრუქციები საჯარო სკოლების დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის

- მასწავლებლების ტრენინგ-პროგრამების შესახებ ინფორმირების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ყველა სკოლას მიაწვდის აკრედიტებული პროგრამების ანოტაციის პაკეტს. მოცემული საინფორმაციო პაკეტი და პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების სია მიეწოდება ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრს.
- რესურსცენტრის უფროსი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერების გავრცელებისა და შემდგომი ადმინისტრირებისათვის.
- პროგრამების ანოტაციების გაცნობის შემდეგ, პროგრამის/პროგრამების გავლით დაინტერესებული მასწავლებელი მოითხოვს ცნობას სკოლიდან და მიმართავს პროგრამის განმახორციელებელ ორგანიზაციას, წინასწარი რეგისტრაციის გავლის მიზნით. ტრენინგ-ორგანიზაცია, მასწავლებლის წინასწარ რეგისტრაციაში გატარებისას, ავსებს წინასწარი რეგისტრაციის ფორმას და გადასცემს მასწავლებელს საგანმანათლებლო რესურსცენტრში წარსადგენად.

- მასწავლებელი ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში წარადგენს პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ შევსებულ წინასწარი რეგისტრაციის ფორმას, სკოლის მიერ გაცემულ ცნობას, პირადობის დამადასტურებელ მოწმობას და ასლს.
- რესურსცენტრის პასუხისმგებელი პირის დახმარებით, მასწავლებელი შეავსებს ვაუჩერის მიღების შესახებ განაცხადს.
- რესურსცენტრის პასუხისმგებელი პირი შეავსებს ვაუჩერს, ვაუჩერის ორივე გვერდზე მიუთითებს მასწავლებლის სახელს, გვარს, პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებულ პირად ნომერს, მასწავლებლის მიერ შერჩეულ პროგრამას, დაამოწმებს ხელმოწერით, რესურსცენტრის ბეჭდით და შევსებული ვაუჩერის მეორე გვერდს გადასცემს მასწავლებელს. ხოლო ვაუჩერის პირველ გვერდს იტოვებს რესურსცენტრი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში წარსადგენად.
- შევსებული ვაუჩერით მასწავლებელმა უნდა მიმართოს პროფესიული განვითარების აკრედიტირებული პროგრამის/პროგრამების განმახორციელებელ ორგანიზაციას 2009 წლის 1 დეკემბრამდე.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების  
ვაუჩერების ადმინისტრირების ეტაპები

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ყველა სკოლას მიაწვდის აკრედიტებული პროგრამების ანოტაციის პაკეტს მასწავლებლების ტრენინგ-პროგრამების შესახებ ინფორმირების მიზნით. მოცემული ინფორმაციის პაკეტი და პროგრამების განმხორციელებელი ორგანიზაციების სია მიეწოდება ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრსაც.

რესურსცენტრის უფროსი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერების გავრცელების და შემდგომი ადმინისტრირებისათვის.

პროგრამების ანოტაციების გაცნობის შემდეგ, პროგრამის/პროგრამების გავლით დაინტერესებული მასწავლებელი მოითხოვს ცნობას სკოლიდან და მიმართავს პროგრამის განმხორციელებელ ორგანიზაციას წინასწარი რეგისტრაციის გავლის მიზნით.

რესურსცენტრის პასუხისმგებელი პირის დახმარებით, მასწავლებელი შეავსებს ვაუჩერის მიღების შესახებ განაცხადს.

მასწავლებელი წარადგენს პროგრამის განმხორციელებელი ორგანიზაციის მიერ შევსებულ წინასწარი რეგისტრაციის ფორმას, სკოლის მიერ გაცემულ ცნობას, პირადობის დამადასტურებელ მოწმობას და ასლს ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში.

ტრენინგ-ორგანიზაცია, მასწავლებლის წინასწარ რეგისტრაციაში გატარებისას, ავსებს წინასწარი რეგისტრაციის ფორმას და გადასცემს მასწავლებელს საგანმანათლებლო რესურსცენტრში წარსადგენად.

რესურსცენტრის პასუხისმგებელი პირი შეავსებს ვაუჩერს, ვაუჩერის ორივე გვერდზე მიუთითებს მასწავლებლის სახელს, გვარს, პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებულ პირად ნომერს, მასწავლებლის მიერ შერჩეულ პროგრამას, დაამოწმებს ხელმოწერით, რესურსცენტრის ბეჭდით და მეორე გვერდს გადასცემს მასწავლებელს.

შევსებული ვაუჩერით მასწავლებელი მიმართავს პროგრამის განმხორციელებელ ორგანიზაციას; შევსებული ვაუჩერის განმხორციელებელი ორგანიზაციისათვის გადაცემის საფუძველზე, მასწავლებელი გაივლის პროგრამას წინასწარ შეთანხმებულ ვადებში.